2019 წელს განხორციელებული თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიში

2019 წელს, "შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილების შესაბამისად შემოწმებას დაექვემდებარა დეკლარაციის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მიერ დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევით და დამოუკიდებელი კომისიის მიერ შერჩეული თანამდებობის პირების დეკლარაციები.

2019 წლის 11 იანვარს, 2019 წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევის მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის მიერ შერჩეული იქნა 297 თანამდებობის პირის დეკლარაცია. მათ შორის, პარლამენტის წევრი - 59, მინისტრები და მინისტრის მოადგილეები (მათ შორის ყოფილი) – 137, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები - 29.

2019 წელს შესამოწმებელი დეკლარაციების ელექტრონული სისტემის მიერ შერჩევა, აღნიშნული პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 2019 წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევის მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის თანდასწრებით, 2019 წელს შესამოწმებელ დეკლარაციებად მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მიერ შეირჩა 310 დეკლარაცია. ჯამურად 2019 წლის განმავლობაში მონიტორინგს დაექვემდებარა 607 თანამდებობის პირის დეკლარაცია.

2019 წლის დეკლარაციების მონიტორინგმა ცხადყო, რომ რადიკალურადაა შეცვლილი თანამდებობის პირების დამოკიდებულება, ქონებრივი მდგომარეობის

დეკლარირების მიმართ. აღნიშნულზე მეტყველებენ ციფრებიც, თუ 2017 და 2018 წლებში დეკლარაციების მონიტორინგის შედეგად დაჯარიმდა შემოწმებულ თანამდებობის პირთა დაახლოებით 80%, 2019 წლის მონიტორინგის შედეგად უარყოფითად შეფასებულ დეკლარაციათა რიცხვი(მათ შორის გაფრთხილებებიც) არ ცდება 60%-ს და შეადგენს 55%-ს. აღნიშნული განაპირობა მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა და ღონისძიებებმა, რომელიც გატარდა 2019 წლის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ.

- უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ბიუროს უფროსის მიერ დეკლარაციების შევსების ინსტრუქციის დამტკიცება, რომელშიც დეტალურადაა განმარტებული თუ რა ინფორმაცია უნდა გაიწეროს დეკლარაციის თითოეულ გვერდზე. აღნიშნული ინსტრუქცია განთავსებულია დეკლარირების ელექტრონულ ვებგვერდზე და დეკლარაციის შემვსებ თანამდებობის პირს აქვს შესაძლებლობა მისი გამოყენებით შეავსოს დეკლარაცია.
- მეორე და ასევე მნიშვნელოვანი მიზეზი, რამაც გააუმჯობესა თანამდებობის პირების მიერ წარდგენილი დეკლარაციების ხარისხი, არის თავად თანამდებობის პირების მხრიდან მეტი ყურადღების გამოჩენა დეკლარაციის შევსების პროცესის მიმართ, რაზეც მეტყველებს მათი მიერ ბიუროს ცხელ ხაზზე განხორციელებული ზარების რაოდენობა. 2017 და 2018 წლების მონიტორინგის პროცესმა თანამდებობის პირებს დაანახა, რომ დეკლარირება ეს არ არის ფორმალური პროცესი და მათი მხრიდან ინფორმაციის უყურადღებოდ დადეკლარირებას, შესაძლებელია, მოჰყვეს შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამდებობის პირები მეტი ყურადღებით ავსებენ დეკლარაციას, რათა არ მოხდეს არასწორი ინფორმაციის ასახვა და ამისათვის აქტიურად იყენებენ ბიუროს ცხელი ხაზის დახმარებას.
- უარყოფითად შეფასებული დეკლარაციების შემცირების შემდგომ მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს კანონში

განხორციელებული ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები განპირობებული იყო წინა ორი წლის მონიტორინგის პრაქტიკით, რომლის შესაბამისად მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა დარღვევის ისეთი ფორმები და ხარისხები, რომლებიც არც კორუფციულ საფრთხეს წარმოადგენდნენ და არც ინტერესთა შეუთავსებლობას. ხოლო, მოქმედი კანონდებლობა მას მაინც დარღვევად მიიჩნევდა. გარდა პრაქტიკისა სასამართლო გადაწყვეტილებებმაც ცხადყო, რომ გარკვეული უმნიშვნელო დარღვევების გამო დეკლარაციის უარყოფითად შეფასება გაუმართლებელი იყო. ამდენად კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოხდა დეკლარირებასთან დაკავშირებული გადაცდომების საკანონმდებლო კლასიფიკაცია. კერძოდ: 1) დეკლარაციაში არსებული შეცდომები, რომლებიც დარღვევად არ მიიჩნევა; 2) არაარსებითი დარღვევები, რომელზეც არ ხდება დაჯარიმება და მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლება ბიურო; 3) დარღვევები, რომლებიც მიიჩნევა არსებით დარღვევად და რომლისათვისაც კანონით გათვალისწინებულია ჯარიმა თანამდებობრივი სარგოს 20% ოდენობით, მაგრამ არაუმცირეს 500 ლარისა. აღნიშნულმა საკმაოდ ბევრი შეუსაბამობა გადაიყვანა დარღვევის კატეგორიიდან დარღვევის არარსებობის კატეგორიაში, რაც სამართლიანიც არის მათი უმნიშვნელო ხასიათიდან გამომდინარე.

ასევე მნიშვნელოვანი თავისებურება 2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის დროს იყო ის ფაქტორიც, რომ შესამოწმებელ დეკლარაციებს შორის 297 თანამდებობის პირი შეირჩა კომისიის მიერ, ანუ მოწმდებოდა ყველა ის თანამდებობის პირი, რომელთა მიმართაც საზოგადოებას განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდა. ამდენად, 2019 წლის განმავლობაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ ბიუროში წარმოდგენილია ერთი განცხადება რომლითაც მოთხოვნილია 74 თანამდებობის პირის დეკლარაციის შემოწმება, რომელთა მონიტორინგი განხორციელდება 2020 წელს.

გარდა იმისა, რომ შემცირდა უარყოფითად შეფასებული დეკლარაციების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი თითქმის ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. აღსანიშნავია, რომ თავად დარღვევის ფორმებიც და ხარისხიც ბევრად უფრო მსუბუქია წინა წლებთან შედარებით. მონიტორინგმა აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში დეკლარაციაში დაშვებული შეცდომა უკავშირდება თანამდებობის პირის ოჯახის წევრის მონაცემების არასწორად ასახვას. შემოწმებულ დეკლარაციათა 63%-ის უარყოფითად შეფასება განაპირობა სწორედ ამ ფაქტორმა.

მონიტორინგის ფარგლებში სრულყოფილად იქნა შესწავლილი შერჩეულ თანამდებობის პირთა დეკლარაციები, მოხდა მათი შედარება სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ ბაზებში დაცულ მონაცემებთან და თანამდებობის პირების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან, რის შედეგადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თითოეულ თანამდებობის პირზე.

მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტი, რომ ისეთი დარღვევა, რომელიც ეჭვს აყალიბებდა იმის შესახებ, რომ დარღვევის ხარისხი შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენდა, 2019 წელს იყო მხოლოდ ერთი.

დეკლარაციების შემოწმების დროს 2019 წლის განმავლობაში გამოვლენილი ძირითადი დარღვევები, შედარებით მსუბუქი ხარისხისაა 2017 და 2018 წელს გამოვლენილ დარღვევებთან შედარებით. ასევე, ზოგიერთ არაარსებით დარღვევაზე და უმნიშვნელო შეუსაბამობაზე კანონში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირებს აღარ დაეკისრათ ჯარიმა და ბიურო მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლა ან აღნიშნული ქმედება აღარ იქნა მიჩნეული დეკლარაციის უარყოფითად შეფასების საფუძვლად. დარღვევები, რაც გახდა დეკლარაციების უარყოფითად შეფასების საფუძველი:

- შეუსაბამობა უძრავი ქონების ფართებში (დეკლარანტს მითითებული აქვს დაახლოებითი ფართი და არა რეალური ფართი, რაც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბაზებში)

- დაუდეკლარირებელი უძრავი ქონება, რომელიც რეგისტრირებულია სამკვიდროს გახსნის შემდეგ და დეკლარანტის მონაწილეობის გარეშე, რის შესახებაც მას მონაცემები არ ქონდა.
- ცდომილება საბანკო ანგარიშების დეკლარაციის შევსების თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით ჩაწერილ ნაშთსა და საბანკო ამონაწერში დაფიქსირებულ ნაშთს შორის;
- დაუდეკლარირებელი საბანკო (დამხმარე) ანგარიშები, ან მულტისავალუტო ანგარიშში მხოლოდ ლარის ანგარიშის მითითება;
- შეცდომით დაანგარიშებული მატერიალური შედეგები სასესხო ხელშეკრულებების შემთხვევებში;
- სამეწარმეო საქმიანობის შემთხვევაში, არ ფიქსირდება საწარმოების წილების ან/და ინდივიდუალური მეწარმეობის თაობაზე ინფორმაცია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო დაფუძნებიდან დღემდე ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს;
- ანაზღაურებადი საქმიანობის ნაწილში დარღვევები: ოჯახის წევრების შემოსავლების არ დაფიქსირება ან შემოსავლების განსხვავებული ოდენობით დაფიქსირება, წლიური შემოსავალის არასწორად/ზეპირად დაანგარიშება და არა დაწესებულების ბუღალტრისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

2019 წლის განმავლობაში შესამოწმებლად შერჩეულ 607 თანამდებობის პირიდან მონიტორინგი განხორციელდა 596 დეკლარაციაზე 11 დეკლარანტზე მონიტორინგი არ დაწყებულა, რაც განპირობებული იყო ,,საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებით, რომლის თანახმადაც დეკლარაციის შევსების ვალდებულების მქონე თანამდებობის პირთა სიიდან ამოღებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა 2019 წლის 4 აპრილს.

შემოწმებული 596 დეკლარაციიდან:

- დადებითად შეფასდა 237 თანამდებობის პირის დეკლარაცია;
- დაჯარიმდა - 254;
- გაფრთხილდა - 75;
- მონიტორინგი შეწყდა - 27 თანამდებობის პირზე, მიზეზს წარმოადგენდა კანონში შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები აღარ არიან ვალდებულნი შეავსონ დეკლარაცია, თანამდებობის პირის გარდაცვალება, თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადადგომიდან მისი დეკლარაციის შერჩევამდე გასულია ერთ წელზე მეტი ვადა;
- პროკურატურაში გადაიგზავნა - 1;
- სასამართლოს მიერ წარმოება შეჩერდა - 2 თანამდებობის პირზე.

2019 წლის განმავლობაში შემოწმებული უარყოფითად შეფასებული თანამდებობის პირების დეკლარაციების უარყოფითად შეფასების კრიტერიუმები შემდეგნაირად გადანაწილდა.

329 უარყოფითად შეფასებული დეკლარაციიდან:

- 41%-ს დარღვევა ჰქონდა უძრავი ქონების ნაწილში, სადაც გამორჩენილი იყო უძრავი ქონება ან/და არასწორად იყო მითითებული უძრავი ქონების რეალური ფართი;
- 38% შემთხვევებში არასწორად ან/და შეცდომით სხვა თარიღის მონაცემით იყო მითითებული საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი, ასევე არ იყო მითითებული მულტისავალუტო ანგარიშების შემთხვევაში სხვა ვალუტის ანგარიშები ან/და გამორჩენილი იყო ძველი საბანკო ანგარიშები;
- 24% დეკლარაციში არ იყო დადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა ან არ იყო მითითებული ძველი საწარმოები, რომლებსაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ბრუნვა არ ქონიათ;
- 22%-ში დეკლარანტს არ ქონდა სწორად დაანგარიშებული ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი, ან არ იყო დადეკლარირებული

ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც აღემატება კანონმდებლობით დადგენილ დეკლარირებისათვის სავალდებულო ზღვარს;

- 63%-ს დარღვევა ქონდა საანგარიშო პერიოდში მიღებული შემოსავლის არასწორად დადეკლარირების გამო;
- 63% დეკლარაციების უარყოფითად შეფასდა ოჯახის წევრების მონაცემების არასწორად მითითების გამო;
- 11% თანამდებობის პირების დეკლარაციების უარყოფითად შეფასება განაპირობა მათ მიერ დოკუმენტაციის კანონით დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობამ.

შენიშვნა: უმეტეს დეკლარაციაში ფიქსირდებოდა აღნიშნული დარღვევების ერთობლიობა და დეკლარაცია უარყოფითად ფასდებოდა მასში სხვადასხვა მონაცემის არასწორად დაფიქსირების გამო.

2019 წლის მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა თანამდებობის პირთა დეკლარაციების მონიტორინგის სფეროში პოზიტიური შედეგი გამოიღო, რასაც მოწმობს ციფრებიც. წინა ორი წლის მონიტორინგის შედეგად უარყოფითად შეფასდა შემოწმებულ დეკლარაციათა 80%, ხოლო, 2019 წლის მონიტორინგის შედეგების თანახმად აღნიშნულმა მაჩვენებელმა დაიწია 55%-მდე. რაც განპირობებულია თანამდებობის პირების მიერ დეკლარირების პროცესის მიმართ ყურადღების გამოჩენით და სურვილით, სრულყოფილად და სწორად დაადეკლარირონ მათი ქონებრივი მონაცემები.

მნიშვნელოვანია, ასევე კომისიის მიერ შერჩეული და ელექტრონული სისტემის მიერ შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეული თანამდებობის პირების დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ურთიერთგამიჯვნა.

2019 წლის განმავლობაში შემოწმდა კომისიის მიერ შერჩეული 295 თანამდებობის პირი საიდანაც დადებითად შეფასდა 126 დეკლარაცია, დაჯარიმდა - 125,

გაფრთხილდა -36, წარმოება შეწყდა - 6 შემთხვევაში და სასამართლოში შეტანილი საჩივრის საფუძველზე წარმოება შეჩერდა - 2 თანამდებობის პირზე.

შემთხვევითი შერჩევით შერჩეული თანამდებობის პირებიდან შემოწმდა 301 დეკლარაცია, საიდანაც დადებითად შეფასდა - 111, დაჯარიმდა - 131, გაფრთხილდა - 37, წარმოება შეწყდა - 21 შემთხვევაში და პროკურატურაში გადაიგზავნა - 1 თანამდებობის პირზე ინფორმაცია.

შენიშვნა: 2019 წლის განამვლობაში შემოწმებულ თანამდებობის პირთა შორის მონიტორინგი განხორციელდა 36 საიდუმლო თანამდებობის პირზე, საიდანაც:

- დადებითად შეფასდა - 11 საიდუმლო თანამდებობის პირის დეკლარაცია;
- გაფრთხილდა - 6 საიდუმლო თანამდებობის პირის დეკლარაცია;
- დაჯარიმდა - 19 საიდუმლო თანამდებობის პირის დეკლარაცია.

დანართად მოცემულია მონიტორინგის შედეგები თანამდებობის პირების მითითებით.